აჭარის პედაგოგთა IV რეგიონული კონფერენცია

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი/ბათუმის მასწავლებლის სახლი აცხადებს აჭარის პედაგოგთა IV რეგიონული კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაციას. კონფერენცია სახელწოდებით: „სწავლა/სწავლებისა და განათლების მართვის თანამედროვე მიდგომები" გაიმართება 2017 წლის 22-24 დეკემბერს.

კონფერენციის მიზანი:

- მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და ამ მიზნით პედაგოგთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება
- სკოლაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის პრაქტიკა და გამოცდილების გაზიარება
- სკოლებში ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სწავლების გამოცდილების გაზიარება
- განათლების მართვის სფეროში აქტუალური საკითხების, მართვის წარმატებული მაგალითების გაზიარება.

მოსალოდნელი შედეგი:

- მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და განიხილონ თავიანთი წარმატებული პრაქტიკა.
- კონფერენციის შედეგად მიღებული ინფორმაცია მასწავლებლებს დაეხმარებათ საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
- მასწავლებლები ხელს შეუწყობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს განათლების ხელშეწყობა, მათ სოციალური ინტეგრაციაში, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაში.
- კონფერენციის მონაწილე დირექტორებს/დირექტორის მოადგილეებს საშუალება მიეცემათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, განიხილონ წარმატებული მაგალითები მართვის სფეროში და გააუმჯობესონ არსებული პრაქტიკა.
- კონფერენციის მონაწილეთათვის გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებელს მიანიჭებს შესაბამის კრედიტქულას.

კონფერენციის ძირითადი მიმართულებები:

- **2011-2016 წ.წ. ეროვნული სასწავლო გეგმით** *(მოქმედი რედაქცია)* **განსაზღვრული საგნობრივი პროგრამები.**
- **ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების გამოცდილება;**
- **ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა;**
- **განათლების მართვის აქტუალური საკითხები.**

კონფერენციის თემატიკა:

- **2011-2016 წ.წ. ეროვნული სასწავლო გეგმით** *(მოქმედი რედაქცია)* **განსაზღვრული საგნობრივი პროგრამები:**
  ინტეგრირებული გაკვეთილი; კვლევაზე/პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი; პროექტ-გაკვეთილი; გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი; ინოვაციური გაკვეთილი; ისტი-ს გამოყენება სასწავლო პროცესში; საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა…
- ✓ **ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სწავლების გამოცდილება;**
  კატასტროფების რისკის შემცირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში; კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების ხელშემწყობი საგანმანათლებლო რესურსები; კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.
- **ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა:**
  სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, პრობლემური ქცევის მართვა; სსსმ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები; ადაპტირებული გაკვეთილები და სხვა...
- **განათლების მართვის აქტუალური საკითხები:**
  სქემაში ჩართული სკოლების მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობა, მონიტორინგის და შეფასების ეფექტური სისტემის დანერგვა სკოლაში; სასკოლო პროექტების შემუშავება/განხორციელება და შეფასება; ადამიანური რესურსების მართვა სკოლაში; სასკოლო თვითმმართველობის განვითარება; კონფლიქტების გადაჭრა; ძალადობა/ბულინგი სკოლებში; მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობის უზრუნველყოფა და სხვა...

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

- ✓ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედ მასწავლებლებს, აგრეთვე სკოლის სპეც. მასწავლებლებს;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებს.

საკონფერენციო ნაშრომი უნდა ეფუძნებოდეს მომხსენებლის მიერ 2016-2017 სასწავლო წელს სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობა/აქტივობებს.

საკონფერენციო დოკუმენტაცია:

კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით უნდა აპლიკანტებმა გამოგზავნონ:
- **პრეზენტაციების ერთგვერდიანი ანოტაცია (აბსტრაქტი),** სადაც აღწერილი იქნება წარმოდგენილი გამოცდილება,

- <u>საპრეზენტაციო პროგრამაში (PowerPoint ან Prezi) აგებული ვიზუალური მასალა</u> <u>(არაუმეტეს 15 სლაიდისა)</u>
<u>- კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო ფორმა</u>
<u>- ცნობა სამუშაო ადგილიდან</u>

ყველა მასალა უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის/ბათუმის მასწავლებლის სახლის შესაბამისი მიმართულების კოორდინატორთან. ელექტრონულ მისამართზე.

შენიშვნა: თემატიკის ფარგლებში წარმოდგენილი შეიძლება იყოს ინტეგრირებული პროექტი. ამ შემთხვევაში თანაავტორთა და შესაბამისად, თანამომხსენებელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს.

<u>დოკუმენტაციის მიღება დაიწყება 2017 წლის 16 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 2017 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით 24:00 საათამდე.</u> <u>ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ მიმართულება / საგანი!</u>

დოკუმენტაციის მიღება წარმოებს შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

✓ ქართული ენა და ლიტერატურა ✓ განათლების დაწყებითი საფეხური ✓ კატასტროფების რისკის შემცირება ხატია ბერიძე: 599- 05-78-50 E-mail: khatiaberidze7@gmail.com	✓ უცხოური ენები ✓ გეოგრაფია ✓ ისტორია ✓ სამოქალაქო განათლება გიული მიქელაძე: 599 50-70-56 E-mail: mikeladzegiuli@gmail.com

✓ ქიმია ✓ ბიოლოგია ✓ ფიზიკა ✓ მათემატიკა თინათინ ციცხვაია: 599 - 58-58-31 E-mail: tiatsitskhvaia@gmail.com	✓ განათლების მართვა ✓ ინკლუზიური განათლება ✓ ხელოვნება, მუსიკა, სპორტი ირმა მახარაძე: 599 - 74-30-08 E-mail: irmamakharadze1@gmail.com

შენიშვნა: 1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!

2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!